



**საქართველო**  
**სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**  
**თავმჯდომარის**

**ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**

4100, ქ.სენაკი, შ.რუსთაველის ქ.№243  
 243, Sh.Rustaveli Str., Senaki, Georgia

Tel.:(0413 27 57 97, Fax.:(0413 275211  
 E-mail: sakrebulo.senaki@gmail.com  
 Web address: www.senaki-sakrebulo.ge

№ 47

01 მატი 2018 წელი

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2018 წლის 28 თებერვალს სენაკის მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოსულ №01/994 მომართვაზე (სარეგისტრაციო №61) - „სენაკის მუნიციპალიტეტის 2018-2022 წლების მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის დამტკიცების თაობაზე“ - სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის გამოცემის მიზნით სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომაზე დღის წესრიგის შესაბამისად განხილულ იქნა საკითხი – სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2018 წლის 28 თებერვალს სენაკის მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოსულ №01/994 მომართვაზე (სარეგისტრაციო №61) - „სენაკის მუნიციპალიტეტის 2018-2022 წლების მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის დამტკიცების თაობაზე“ - სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის გამოცემის მიზნით სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს VII თავის, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2018 წლის 1 მარტის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :**

1. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დაწყებულ იქნეს ადმინისტრაციული წარმოება - სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2018 წლის 28 თებერვალს სენაკის მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოსულ №01/994 მომართვაზე (სარეგისტრაციო №61) - „სენაკის მუნიციპალიტეტის 2018-2022 წლების მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის დამტკიცების თაობაზე“.
2. ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მიღებულ იქნეს 2018 წლის 31 მაისამდე.
3. „სენაკის მუნიციპალიტეტის 2018-2022 წლების მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი განსახილველად გადაეცეს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიას.
4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარეს – თათია ჯინჯოლავასა და სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს აპარატის უფროსის მ/შ – ბადრი ძაგანას.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად სენაკის რაიონულ სასამართლოში (მის.: ქ. სენაკი, შ. რუსთაველის ქ. №247).

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
 თავმჯდომარის მოადგილე, თავმჯდომარის მ/შ:



ბადრი კალანდარიშვილი